პროექტი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №
2022 წლის ივნისი
ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში ზაზა სულაბერიძის სახელობის საჯარო სკოლის მიმდებარედ არსებული სკვერისთვის ჩიბათელი მხედრების სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ“ მე-10 მუხლის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების შესაბამისად,

მუხლი 1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში ზაზა სულაბერიძის სახელობის საჯარო სკოლის მიმდებარედ არსებულ სკვერს ეწოდოს ჩიბათელი მხედრების სახელი თანდართული რუკის თანახმად.

მუხლი 2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიამ ორი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე, ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: **ბესიკ ტაბიძე**